1937

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოქტომბრელი

1937 №5

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

„ოქტომბრელი“

საქ. ა. ლ. კ. კ. ცეკასა და საქ. განსახკომის ერთთვიური ორგანო

№ 5
მაისი
1937 წ.
წელიწადი მე-11

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის გამ. „კომუნისტი“
რედაქ. მისამართი: თბილისი, გრიბოედოვის ქ. № 34
ტელ. № 3-02-61

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინაარსი

		გვ.
1.	მაყკალა მრევლიშვილი—სამი დობილი (ლექსი)	1.
2.	ლევან მეტრეველი—ცუდი კაცები (მოთხრობა)	2.
3.	გიორგი კაჭახიძე—ანიკოსთან მიდიან (ლექსი)	9.
4.	ილია ჭავჭავაძე—ბუზების თვლა (მოთხრობა)	10.
5.	მიმქრალი—მაისი (ლექსი)	11.
6.	ვლადიჰერ მაიაკოვსკი—ამხანაგო ჩიტო	12.
7.	იოსეგ მჭედლიშვილი—მაისის ყვავილები (ლექსი)	13.
8.	ლ. უსპენსკი—კუდიანი პარაშუტისტი (მოთხრობა, თარგმანი შ. თაბუკაშვილისა)	14.
9.	ლეილა თაბუკაშვილი—მაისი (ლექსი) გარეკანი	III გვ.
10.	სოსო ლომთათიძე—გასართობი „	III-გვ

ჟურნალი დასურათებულია მხატვარ ი. ქოქიაშვილის მიერ.

ყდის მხატვრობა ეკუთვნის კ. გძელიშვილს

პ/მგ. რედაქტორი ბაბო ჭაჭიაშვილი პ მგ. მდივანი ლ. ჭიჭინაძე

მთ. № ე-10538, ტირ. 10,000 შეკვ. № 36 საქ. კ.პ.(ბ) ც.კ. გამ. ამხ. ს. თოდრიას სახ. „კომუნისტის“ სტამბა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამი დობილი

სამი დობილი მოვიდა:
მარტი, აპრილი, მაისი,
იები სცვივათ ქობიდან,
გაგვისამკეცეს ხალისი.

მარტი, — უმცროსი დაია,
მტირალა, მიზეზიანი
(ხან მოლრუბლული დარია,
ხან კი ძალიან მზიანი).

ცალ თვალს იცრემლავს ძალათი,
ცალზე ღიმილი ჰფენია,
ეშმაკს პატარა კალათი
ენძელით გაუტენია!

....იამა სიოს ტბორები,
თან ნათბილარი, თან გრილი,
ნუშის და ატმის ტოტებში
ფეთქავს ჟუჟუნა აპრილი.

ხეზე ზის, კვირტში იცინის,
არ იცის ჭკნობა რას ჰქვია,
ერთი გოდორი ყვავილი
ზედ თავზე გადმოგვაფრქვია!

უფროსი გოგო დინჯია —
შელერებული მაისი,
მწვანე ხავერდი ირჩია,
გზა დაიფინა თავისი.

ყველა ამ კეკლუცს ელოდა,
გვიან რომ შემოირბინა,
ჩაჯდა, მოქარგა მდელო და
ტყეები მოაგვირგვინა.

სამ გამონასკულ კაბაში
გვეწვია სამი დობილი,
რიგრიგად გაგვეთამაშნენ
სხივებთან გადაჭდობილნი.

2008

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლევან მეჯრეველი

ცუდი კაცები

„ესპანელი“ ბავშვები

— Mამიკო, მომეცი, რა არის, მანეთი ესპანელი ბავშვებისათვისა!

— ესპანელი ბავშვებისათვისა! ინებე, გენაცვალე! განა მე უარი გითხარი?

— გუშინ ყველა ბავშვმა მოიტანა მანეთები, მარტო მე დავრჩი ისე.

— უჰ! მაშ ყველასთან შერცხვი ჩემი კოკროჭინა გოგოი? აჰა, გენაცვალე, დღეს წაულე, არა უშავს რა! — მამიკო იღებს უბიდან ფულებს.

— მამიკო! რომელიც დიდი მანეთია, ის მომეცი, ხო!

— მაშა! რომელიც დიდი მანეთია, სწორედ იმას მივცემ ჩემ პატარა გოგონასა.

— უუ! შენ მატყუებ! როგორი ხარ, მამიკო, არა გრცხვენია!

— არ გატყუებ, გენაცვალე! ეგ ხომ საწყალი ბავშვებისათვის არის და როგორ შეიძლება მოტყუება? აი, რომელიც ყველაზე დიდი მანეთია, იმას გაძლევ.

კოკროჭინა გოგონამ გამოართვა ფული. თან ჯიბეში ინახავს, თან ცალ ფეხზე ხტუნაობს სიხარულით.

— მამიკო! რათ არიან საწყლები ესპანელი ბავშვები? იმათაც ხო ჰყავთ დედიკო და მამიკო?

— რათ არიან საწყლები „ესპანელი“ ბავშვები? რათა და... ჰო, ცუდი კაცები მოვიდნენ, სახლიც დაუნგრიეს, ზოგს მამიკოც მოუკლეს, დედიკოცა. დარჩნენ ობლად და საწყლები იქნებიან, მაშა!

— შორს არიან, მამიკო, ის ესპანელი ბავშვები?

— ძალიან შორსა, გენაცვალე. ბევრი მთის იქითა, ბევრი ზღვის იქითა. ხო იცი, მთების იქითაც არის სოფლები.

— ვიცი, მამიკო! აი, ბორჯომიც მთების იქით არ არის?

— ჰო! ზღვებს იქითაც არის სოფლები.

— ქობულეთის იქით, არა, მამიკო? აი, გემებს რო დავინახავდი ხოლმე, იქ მიდიან, არა, სხვა სოფლებში?

— მაშ, იქ მიდიან ხოლმე, სხვა სოფლებში! ამ ჩემმა პატარა გოგომ რამდენი რამე იცის, კაცო! მარტო ფერადების ხმარება არ იცის თავის ადგილას: აგერ კიდევ მოულანგია თავისი ნოლა ცხვირი შავადა.

კოკროჭინა გოგონა იხედება სარკეში. ხედავს შავად გამურულ თავის ნოლა ცხვირს და ხითხითებს გულიანად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მამიკო! თქვენი გემიც იმ სხვა სოფლებში მიდის, ზღვას იქით რო არის?

— ჰო, გენაცვალე!

— სადაც ეშპანელი ბავშვებია, იმ სოფელში?

— კიდევ იმის იქით.

გოგონა ეხვევა კისერზე თავის მამიკოს. რა მაგრა ეხვევა თავისი ნორჩი თათუნებით!

— მერე, ცუდი კაცებისა შენ კი არ გეშინია, მამიკო?

მამიკო ჰკოცნის თავის გოგონას ისევე მაგრად, როგორც ის ეხვეოდა ყელზე.

— ოი, შენ კი გენაცვალე თხილისოდენა გულში, ეგრე რომ სწუხარ ჩემი გულისათვის!

— მამიკო, ჩქარა დაბრუნდები?

— ჩქარა.

— რამდენი დღე რო გავა?

— რამდენი? თითუნები არ გეყოფა სათვალავად. იცი, როდის დავბრუნდები? როცა ნაძვის ხე გექნებათ საბავშვო ბალში.

— კარგი! არ დაიგვიანო, თორემ...

— თორემ?

— თორემ შენი გოგო აღარ ვიქნები! — და კოკოჭინა გოგონას ნორჩი მკლავები ისევ უსაზღვროდ ეხვევა მამიკოს კისერს.

— მამიკო, როგორ იყო, შენ რო პატარა იყავი და შენმა მამიკომ რო ნაძვის ხე...

— რანდენჯერ უნდა გიამბო, შე კუდიანო, არ მოგწყინდა?

— არა, მამიკო, არა! ერთხელ კიდევ მიამბე! ეგრე შორ მიდიხარ და მიამბე, რაა, ერთხელ კიდევ, როგორი ხარ!

კოკოჭინა გოგო გასწორდა მამის კალთაზე. თან თვალებდაღებით და პირდაღებით ხარბად მისჩერებოდა მამიკოს: ერთი ვნახოთ, რომელიმე სიტყვა დასცდა, მერე?

მამიკომ ალერსით მოსწია გოგონას ნოლა ცხვირი, თითქოს გაუსწორაო, და...

— ჰო, ეს იყო, მე რომ პატარა ვიყავი, როცა სოფელში ვცხოვრობდი და ფეხშველა დავრბოდი. ახალი წელიწადი მოახლოვდა.

— როგორ მოახლოვდა, მამიკო? რამსიშორედ იყო?

— ისე, სოფლის ბოლოზე. ჰო, დიდი თოვლი მოვიდა. დიდი ხეებიც მოიკუზენ თოვლის სიმძიმით. მამაჩემი სულ იძახდა: ჩემი ბერდია ბიჭი ძალიან, ძალიან უნდა გავახარო ახალწელიწად დღესაო.

„მე კიდე ვფიქრობდი: ნეტა რით უნდა გამახაროს მეთქი? ჩუსტებს მიყიდის თუ ხალათსა მეთქი? მაგრამ ჩუსტებიცა და ხალათიც სწორედ ახალწლის წინადღეს მომიტანა მამიკომ. ვფიქრობ: ეხლა რიღათი უნდა გამახაროს მეთქი ნეტავი? ციგა უკვე მაქვს ჩემი გაკეთებული. კოკოზაცა მაქვს ჩიტების დასაჭერი. მაშ რაღა უნდა იყოს? ვფიქრობ და ვერ მომიფიქრია. ასე ნატვრით დავწექი ლოგინში. თან ისეთი დიდი სიხარული ჩამყვა, ისეთი, რო...

— რამოდენა, მამიკო, რამოდენა?

— იმოდენა, რო გულში ძლივას ეტეოდა. დილით მამლისყივილზე გამაღვიძა მამაჩემმა. გააღე პირი ჩქარაო! მეც გავაღე თუ არა, თაფლის წყალში დამბალი ერთი უშველებელი ლუკმა ჩამიდო პირში. თან სუფთა ბამბით მომწმინდა ტუჩები და მეუბნება: ასე ტკბილად დამიბერდიო.

მერე კარში გავიდა მამაჩემი. ცოტა ხნის შემდეგ შემოვიდა სულ ერთიან გაბრაზებული და მიყვირის:

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— სად არის ჩვენი თაფლა ბოჩოლა? რათ დასტოვე კარში? ეხლა ის ხო მგლებს ვეღარ გადაურჩებოდა და ვერც შენ გადამირჩები მეო!

მე შიშისაგან სულ გამაცივა და კანკალი დავიწყე. გავხედე ბოსელში — მართლა ჩემი საყვარელი თაფლა ბოჩოლა აღარსადა სჩანს. მე ვერც-კი მომიგონია, როგორ დამავიწყდა ის კარში. ალბათ, ახალწლის სიხარულით თუ დამემართა. მამაჩემმა შემომიტია:

— ადე ჩქარა, წავიდეთ, ტყეში მოვძებნოთო!

ვაი ჩემ დღესა! მე რაღაც სასიხარულოს ველოდი მამაჩემისაგან და ეხლა კი ყველაფერი უნდა ჩამშხამდეს. სიმწარით ჩავიცვი ჩემი ახალი ჩუსტები, ახალი ხალათი და ცახცახით გავყე უკან მამაჩემს. გავედით იქავე ჩვენს მახლობელ ტყეში. მამაჩემმა წინ გამაგდო: როგორც შენვე დაკარგე, ისე შენვე ეძებე პირველმაო.

მე თოვლში ვიფლობი, ვკანკალებ და ვტირი ჩუმად. მენანება, ძალიან მენანება ჩემი თაფლა ბოჩოლა, მაგრამ უფრო გულს მიკლავს მამაჩემის შეუბრალებლობა. თავის დღეში ასეთი არ ყოფილა და რა დაემართა ნეტავი ამ ახალწელიწად დღესა?

აგერ მამაჩემმა უფრო მაგრა მკრა ხელი — ჩქარა გაიარეო. მეც მივდივარ წვალებით. ახალი ჩუსტები თოვლით ამევსო. ფეხებიც მეყინება. მაინც მივდივარ, სანამ შემიძლია, და უცებ ჩემ წინ პატარა ნაძვის ქვეშ ვხედავ ჩვენ თაფლა ბოჩოლას!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მამა! აგერ ჩვენი თაფლა! — შევძახე სიხარულით. თან გავექანე და ყელზე მოვეხვიე ჩემ თაფლას. ვკოცნი, როგორა ვკოცნი თვალებში, თითქოს ჩემი პატარა დაიკო იყვესო.

უეცრივ შევამჩნიე, რომ ბოჩოლა ნაძვზეა მიბმული. ამან გამაოცა, მაგრამ უფრო გასაოცარი კიდევ სხვა დავინახე. დედა! რას არ ხედავენ ჩემი თვალები ამ პატარა ნაძვის ხეზე, რა არა ჰკიდია იმის თოვლით დადრეკილ ნორჩ ტოტებზე! მტკაველნახევრიანი დაშაქრული ჩურჩხელები! ბრაწა ვაშლები! ჩამიჩის გიშერა მტევნები! კაკლის კუნწულები!

მაღლა კენწეროზე კიდევ გადაუკიდია წაბლის გრძელი ასხმულა.

გაკვირვებულმა შევხედე მამაჩემს, ის კი გულიანად ხითხითებს და მეუბნება:

— ხომ აგისრულე დაპირება! ხომ გაგახარე ამ ახალწელიწად დღესაო!

ვერ უყურებ! თურმე ყველაფერი ეს მამაჩემის მოწყობილი იყო!

სიცოცხლე გაქვს, მეც გამეხარდა.

საჩქაროდ დავკრიფე ყველაფერი ეს ხილეული, მოვხვიე კისერზე ხელი ჩემ ბოჩოლას და სულ ვარხალალეთი მოვედი შინამდე.

ასე უცნაურად გამახარა მამაჩემმა საახალწლო ნაძვის ხით. რამდენჯერ მიჩვენებია ის ნაძვის ხე ჩემი კოკროჭინა გოგონასათვის, ხომ გახსოვს?

— როგორ არა, მამიკო! დაბლა რო ორი ტოტი ჩემი ბალერინას ხელებივით აქვს აქეთ-იქით გაშვერილი, არა?

— საჩუქრად რა წამოგიღო, გენაცვალე, როცა დავბრუნდები ზღვისიქითა სოფლიდან?

— რაც მოგეწონოს.

— მაინც?

— შენ აკი შემპირდი, ფერად ფანქრებს მოგიტანო?

— კიდევ?

— კიდევ? თუ გინდა ეშპანელი ბავშვი წამოიყვანე! სულერთია, ბიჭი იქნება თუ გოგო. ჩვენ ხომ აქ არ გვინახავს როგორია ეშპანელი ბავშვი.

— ვნახოთ, იქნებ ეგ სურვილიც შეგისრულო.

— ხომ ჩქარა დაბრუნდები, მამიკო?

— აკი გითხარი, როცა ნაძვის ხე გექნებათ სკოლაში, იმ დროისათვის მეთქი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შავი ქვით დატვირთული გემი „ბურევესტნიკი“ მზად არის გასწიოს შორეული ზღვებით შორეული ქვეყნებისაკენ.

აგერ ზღაპრული ვეშაპივით სამჯერ დაიღრიალა და შეაზანზარა არემარე. გაისმა ბერკეტების ხრიალი, ჯაჭვების ჩხარაჩხური, ღუზების რახუნი.

ბოლოს ყველაფერი მოთავდა. გემი წყნარად შორდება ნაპირს. თითქოს ცდილობს ჩუმად გაეპაროს საყვარელ ხმელეთსო. გემის ბაქანზე დიდხანს მოჩანს რადისტი ბერდია. ის ღიმილით უქნევს ქუდს ნაპირზე დარჩენილ კოკროჭინა გოგონას და მის დედიკოს.

გოგონა და მისი დედიკოც დაიღალნენ თეთრი ხელსახოცების ქნევით, მაგრამ მაინც არ იშლიან, რადგან გული არ დაიღალა.

ბოლოს გემი დაშორდა. ადამიანები ველარ ერჩევიან ბაქანზე. დედა-შვილი გამოტრიალდნენ ნაპირიდან. მოდიან ჩუმად. ხანდახან მიიხედავენ უკან, ზღვისაკენ, გემისაკენ.

„ბურევესტნიკი“ შეუსვენებლივ მიცურავს დღელამე. გალია შავი ზღვაც, მარმარილოს ზღვაც. აჰა, ლამის ხმელთაშუა ზღვაც უკან მოიტოვოს.

ხმელეთს ველარსაით ვერ სწვდება თვალი. არის მხოლოდ უნაპირო ზღვა და ზედ დამხობილი უნაპირო ცა. ზღვა ისე წყნარია, თითქოს არასდროს არცერთი გემი არ დაეღუპოს, არცერთი კაცის ცოდო არ დაედოსო.

ცა? ისიც წყნარია.

როგორც „ბურევესტნიკი“ მიცურავს ზღვაზე, ისევე მიცურავს მზეც ცაზე დასავლეთისაკენ. „ბურევესტნიკიც“ აჩქარებით თითქოს მზეს მისდევს დასავლეთისაკენ. „ბურევესტნიკის“ შუა ანძაზე ჰკიდია მოსკოვის დროით მომართული დიდი საათი.

დღეს ხუთი საათისათვის მოსკოვის გულში, წითელ მოედანზე იმართება დიდი მიტინგი ესპანელ მებრძოლ ხალხისადმი თანაგრძნობის გამოსახატავად.

რადისტმა ბერდიამ თავისი რადიოს გულისცემა უკვე შეუერთა მოსკოვის რადიოს გულისცემას. ბაქანი სავსეა სასმენად გამზადებული მეზღვაურებით. აგერ გაისმა კიდეც „ინტერნაციონალის“ მძლავრი გუგუნი, და მთელი კომანდაც მოჯადოვებულივით აჰყვა ამ საბრძოლო ჰანგებს.

ხამუშ-ხამუშ „ინტერნაციონალის“ გუგუნში ჩაექსოვება ზღვა ხალხის შეძახილი:

— გაუმარჯოს რესპუბლიკური ესპანეთის მებრძოლ ხალხს!

— ძირს სისხლიანი ფაშისტები!

ვინ იცის, კიდევ რამდენ ზღვასა და ოკეანეს აღვიძებს ეს გუგუნი და შეძახილი, რამდენი მშრომელის გულს აღელვებს ზღვებზე და ოკეანეებზე მძლავრად!

აჰა, ბოლოს შეწყდა „ინტერნაციონალიც“, ხალხის შეძახილიც და გაისმა „ავტოქარხნის“ დამკვრელი მუშის მკვეთრი ხმა.

— ჩვენ, ავტოქარხნის მუშები, ინჟენრები, ტექნიკოსები და მოსამსახურენი, ჩვენს უწმინდეს მოვალეობად ვთვლით მთელი მსოფლიოს მშრომელებთან ერთად ძმური დახმარება გავუწიოთ ესპანეთის ხალხს თავის გმირულ ბრძოლაში შინაური და გარეშე მტრების წინააღმდეგ...

ბაქანზე შეკრებილი მეზღვაურები გულისფანცქალით ისმენენ რადიოს გადმოტყორცნილ მგზნებარე სიტყვას თავიანთი მოსკოველი ამხანაგებისას:

— ჩვენი თვალები მიპყრობილია ესპანეთის მშრომელებისაკენ. ჩვენი გული ფეთქავს მათ გულთან ერთად. ჩვენ ფხიზლად ვადევნებთ თვალყურს, თუ ესპა-

ნეთის გმირი ხალხი რა შეუპოვრად იცავს თავისი ქვეყნის თავისუფლებას ფაშისტების თავდასხმისაგან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არავის შეუმჩნევია როგორ შემოვიდა.

„ბურევესტნიკის“ მახლობლად უეცრივ საიდლანაც გაჩნდა ესპანელ მეამბოხეთა სამხედრო გემი.

ბრძანებაა: შეჩერდეს „ბურევესტნიკი“. გემი ჩერდება.

„ბურევესტნიკთან“ მოცურდა ნავი, გემზე ამოდის ფაშისტი ოფიცერი, თან ახლავს სამი ხელქვეითი. მოსკოვიდან კი ისევ გაისმის მკვეთრი ხმა:

— დაე იცოდეს ესპანეთის ხალხმა, რომ ამ ბრძოლაში ფაშისტური მონობის წინააღმდეგ, რომ ამ ბრძოლაში დემოკრატიული რესპუბლიკის დასაცავად ჩვენ მასთანა ვართ...

ოფიცერი მოითხოვს გემის საბუთებს. მაგრამ საბუთების მიღებამდე მოითხოვს რადიოს გაჩუმებას.

მაგრამ არა! არც ერთი საბჭოთა მეზღვაური არ შეასრულებს ფაშისტი ოფიცრის ასეთ თავხედ მოთხოვნას. ოფიცერმა იუკადრისა ასეთი შეუპოვრობა.

— თუ თქვენ უარს ამბობთ ჩემი ბრძანების შესრულებაზე, მაშ მე თვითონ შევწყვეტ... — ამ სიტყვებთან ერთად იძრო ხმალი და მივარდა რადიოაპარატს. მაგრამ რომელი საბჭოთა მეზღვაური შეურიგდება ასეთ ფაშისტურ თავხედობას? ერთი-ერთმანეთზე მძლავრი მკლავები ვეფხვის კლანჭებივით მისწვდნენ თავგასულ ოფიცერს და თავის ამხანაგებთან ერთად ის ძალის-ძალით მიაბრძანეს ნავში.

ასე გაბრუნდნენ შერცხვენილი ფაშისტები უკან, მაგრამ ეს რა მოხდა? დაიქუხა ერთხელ. დაიქუხა მეორედ. „ბურევესტნიკი“ შეირყა. იგრიალა მესამედ — და „ბურევესტნიკი“ სწრაფად მიდის ზღვის ძირისაკენ. რამდენიმე წუთის შემდეგ აღარ სჩანს „ბურევესტნიკი“. აღარც ხანძარი ანათებს ზღვას.

გემი კი დაიღუპა. მაგრამ სად არიან მისი შეუპოვარი მეზღვაურები, „ბურევესტნიკის“ დარჩეული მეზღვაურები?

სად არის რადისტი ბერდია, თავის კოკროჭინა გოგონას რომ შეჰპირდა საჩუქარს?

მ ო ღ ო ღ ი ნ ი

— დედიკო! ნაძვის ხე ხომ დღესა გვაქვს ჩვენა და მამიკო რომ ჯერ არ მოსულა?

— ეგებ მოვიდეს, ჩემო ჩიტუნი.

— საღამომდი კიდევ მოასწრებს, არა, დედიკო?

— მოასწრებს, ჩემო ჩიტიკო, მოასწრებს.

კოკროჭინა გოგონა მიდის ნაძვის ხეზე. მარტოდ დარჩენილი დედა კითხულობს ახალ გაზეთს და... ნეტავ არ წაეკითხა იგი!

თურმე ესპანელი ფაშისტების სამხედრო გემს ჩაუძირია საბჭოთა კავშირის თბომავალი „ბურევესტნიკი“, მაგრამ რა დაემართათ „ბურევესტნიკის“ რჩეულ მეზღვაურებს? ამაზე რომ არავითარი ცნობა არ არის?

— დედიკო, ისეთი კარგი ნაძვის ხე გვქონდა, ისეთი... ლექსებიცა ვთქვით, ვიმღერეთ კიდეცა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დედიკო ჩაფიქრებულია, დაღონებულია რაღაცაზე. გოგონა ლოყაზე ხელს ავლებს და თავისკენ უტრიალებს სახეს.

— დედიკო! იმდენი ფერადი საბოლები ენთო, იმდენი, რო ვერც-კი დავთვალე. — დედიკო მაინც სახეს არიდებს თავის ტიკტიკა გოგონას.

— დედიკო! ჩვენთან რო ნაძვის ხე იყო, ისე ჰგავდა მამიკოს ნაძვის ხეს! აი ერთხელ რო ჩურჩხელები და ვაშლები მოესხა, იმ ნაძვის ხესა! იმასაც ორი ტოტი ჩემი ბალერინას ხელებივით გაეშვირა და თითქოს ცეკვავსო. იქნება ის მართლა ჩემი მამიკოს ხე იყო და ცუდმა კაცებმა მოჭრეს?

დედიკო რაღაც წიგნს ფურცლავს, მაგრამ რომ არ კითხულობს?

— დედიკო! ცუდია მამიკო!

— რათა, გენაცვალე?

— მომატყუა! დღესაც არ მოვიდა. ცუდი! რო მოვა, გავებუტები და აღარ შევურიგდები.

დედიკო კედელს მისჩერებია. კედელზე მამიკოს სურათი ჰკიდია.

— დედიკო! მამიკოც იმ სოფელში წავიდა, სადაც ცუდი კაცებია?

— რომელ სოფელში, გენაცვალე?

— აი ზღვის იქითა.

— რომელი ზღვის იქითა?

— აი, სადაც ეშპანელ ბავშვებს დედიკოები და მამიკოები დაუხოცეს.

— ჰო, იქ წავიდა, გენაცვალე.

კოკოროჭინა გოგონა რაღაცას ფიქრობს და ვეღარ მოუფიქრია.

— დედიკო! მერე, ცუდი კაცები ჩემ მამიკოსაც ხო არ მოჰკლავენ?

— ოი, შენ კი გენაცვალე! ძალიან უყვარს ჩემ კუდრაჭა გოგონას მამიკოი, ძალიანა?

დედიკო მკერდში იხუტებს კოკოროჭინა გოგონას, მაგრა იხუტებს, რომ თვალები არ დაანახოს. კოკოროჭინა გოგონაც მაგრა ეხუტება მკერდში დედას, მაგრა, რომ დამალოს თავისი თვალები.

ასე ეხუტებიან დიდხანს ერთმანეთს დედა-შვილი, შემდეგ ასწიეს თავი, შეხედეს ერთმანეთს, ორთავემ რაღაც დამნაშავესავით გაიღიმეს.

კოკოროჭინა გოგონამ ჭრელი ბურთი გაათამაშა და ჩააფუჩეჩა თავისი თვალების უნებლიე დანაშაული. დედიკო მიაშტერდა, ცის სიმაღლეში გუგუნით რო მიქროლავდა აეროპლანი.

გიორგი კაჭახიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანიკოსთან მიდიან

ბუხის ჩრდილში, ბაღის ახლო,
თვლემს მწოლარე ბროლია.
არ უყურებს, რომ ეზოში
ყველგან მწვანე მოლია.
არც აფიქრებს ცაში მდგარი
თეთრი ღრუბლის კარავი,
ონავარი ბუზის მეტი
არ აწუხებს არავინ.
უცებ: თინა, ცელქი გოგი —
მიეპარნენ ბაღიდან,
გამოაბეს ყელზე თოკი,
და ბროლიაც აღრინდა.
გათავხედდა და უწესოდ
ფეხიც კი გაიქნია...
მაგრამ უთხრეს: „ჩუმად, კარგო,
აგრე როდის გიქნია!
აბა დღემდე შენი თავი
ხომ შეცდომით გვიქია?!
წამო წყნარად, ძლიერ გვინდა
გაგვიწიო ცხენობა..
წელან ჯირკს რომ მივათრევდით,
აკი თითქოს გრცხვენოდა!“
აიძულეს, წაიყვანეს
თოკით ეზოს კუთხეში
და გააბეს, როგორც ცხენი,
სათამაშო ურემში.
ურემზე კი რბილად დასვეს
ერთი მგზავრი პაწია:
დედოფალა ტანდაბალი,
შავთვალა და მანჭია.
ყვავილებიც დააყარეს, —
აღტაცება დიდი აქვთ.
დაძრეს ძაღლი და სტუმრებად
ანიკოსთან მიდიან.

მაგრამ რას ჰგავს!? სულ არ
სცდილობს
ძაღლი ტვირთის ტარებას,
თითქოს ბავშვთა შეძახილი
მის ყურს არ ეკარება.
გოგი ჩივის: „ეს ურემი
როგორ ნელა მიგორავს!
ჩვენი ცხენი ცხენია, თუ
კამეჩია ნიკორა?!“
ამ ჩივილმა ჭირვეულად
თინაც ააქაქანა.
მოიქნიეს მაგრად წნელი,
და ბროლიაც გაქანდა.
გადაახტა რცხილის კუნძებს,
გადაბრუნდა ურემი,
ახლო მყოფი კრუხი დაფრთხა,
დაფრთხენ ინდაურებიც.
გაწყდა თოკი, მირბის ძაღლი,
თელავს სუფთა ბალახებს,
გასცდა ეზოს ისე მწყრალად,
ვითომც მართლა გალახეს.
თინა მაინც გულს იმშვიდებს:
— ეს ჩვენს თავზე ახია!
მაგრამ, ვაი, დედოფალას
კაბა რამ დაახია?!
მგონი მკლავიც მოსტეხია,
დაჟეჟია თითებიც.
ახლა, მოდი, ნუ იდარდებ,
ანდა ნუ გაფითრდები!
ეს რა გვიყო, რა ამბავი
შეგვამთხვია ბროლიამ!
მაგისთანა ცუდი ძაღლი
მამას ჯერ არ ჰყოლია!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ილია ჭავჭავაძე

ბუზების თვლა

„ვინცა ადამიანი?!“ ილია ჭავჭავაძის ერთერთი საუკეთესო ნაწარმოებია. მასში აღწერილია შატონყმობის დროინდელი თავადების ყოფაცხოვრება. თავადი ლუარსაბ თათქარიძე და მისი მეუღლე დარეჯანი ჯერ ადარებდნენ დროს. ვფიქრობთ ამ მოთხრობიდან პატარა ნაწყვეტს „მუზების თვლა“. ამ ნაწყვეტიდანაც ცხადად ჩანს, რამდენად დაჩლუნგებული იყო ლუარსაბის გონება.

ლუარსაბმა ჭერს მიაბჯინა თვალები; იქ ჯგუფად ისხდნენ ბუზები. დარეჯანმა მატყლის წინდის ქსოვა დაიწყო.

პატარა ხანს უკან ლუარსაბმა წამოიძახა:

— დარეჯან, აბა, თუ ჭკვიანი დედაკაცი ხარ, გამოიცან, ა იმ ფიცარზე რამდენი ბუზი ზის?

— აბა სადა?

— აი, ჭერის ფიცარზე.

თურმე, ნუ იტყვით, ამ სასაცილო ლუარსაბსა, დაჩუმებულნი რომ იყვნენ, იმ დროს ის ბუზები უთვლია! დარეჯანმა რა იცოდა.

— რამდენია? — სთქვა დარეჯანმა. — მაიცა, ჯერ დავთვალო.

— ეგრე ხომ მეც გამოვიცნობ. აბა ისე გამოიცან, კაცობა ის იქნება.

— ისე გამოვიცნო? მაშ კარგი, ოცდაათი იქნება.

— ოლოლო შენ, ვერ გამოიცან!

— მაშ რამდენია?

— რამდენია? გითხრა? არა, არ გეტყვი.

— სთქვი, თუ იცი, რალა.

— თუ კაცი ვარ, ორმოცი უნდა იყოს. ოლოლო შენ, მე გამოვიცან!

— დიაღ, გამოიცან... დაგითვლია, როგორც იმ დღესა ჰქენი. ეგრე ხომ მეც გამოვიცნობ!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— შენც არ მომიკვდე, ის კარგი მამა არ წამიწყდეს, რომ არ დამითვლია!

— მაშ საიდამ იცი, რომ ორმოცია?

— საიდამ? იქიდამ, რომ გონება მაქვს.

— განა მე კი არა მაქვს გონება?

— შენცა გაქვს, მაგრამ კაცის გონებასთან დედაკაცის გონება როგორ მოვა? მე ვარაუდით მივხვდი, რომ ორმოცია.

— რომ არ იყოს ორმოცი?

— ჯარიმა გადამახდევინე.

— მაშ დავთვალოთ.

დაიწყეს ცოლმა და ქმარმა ბუზების თვლა. გამოვიდა, რომ ორმოცდაათზედაც მეტი იყო,

— გამოიცნო?! — სთქვა ნიშნის მოგებით დარეჯანმა, — დიაღ, გამოიცნო! გონება აქვს ამ ჩემ ბატონს და იმიტომ გამოიცნო!

ლუარსაბს შერცხვა, ცოტად აირია.

— გაფრენილან, თორემ ორმოცი იყო, — სთქვა სულელმა თავის გასამართლებლად. — სწორედ გაფრენილან.

— უფრო კარგი, თუ გაფრენილან. უფრო ცოტა არ უნდა დარჩენილიყო? მანდ ორმოცდაათზედაც მეტი არის ეხლა.

ლუარსაბი გაიწურა, ეს რა წამოვროშეო, სთქვა გულში.

რომ ჩააფუჩეჩოს თავისი მახეში გაბმა, კბილების კრაჭუნით, რომელსაც კნეინა ღიმილს ეძახდა, სთქვა:

— დალახვრა ღმერთმა, ეგ ვეღარ მოვიფიქრე. ბიჭოს! თითქო ოთხჯერ დავთვალე!

— აკი არ დამითვლიაო?

— შენგან არ მიკვირს! რომ არ დამეთვალა, სოლომონ ბრძენი ხომ არ ვიყავ, რომ ისე გამომეცნო. როგორ არ დავთვალე, აი დალახვრა ღმერთმა, შევმცდარვარ, თორემ გაჯობებდი, აი, ჩემო სულიკო! მე და ჩემმა ღმერთმა, გაჯობებდი.

სთქვა და გაცოუებული ლუარსაბი შაქარსავით გაუტკბილდა თავის ამჟამად გამარჯვებულს მეუღლესა.

მიმძრალი

მ ა ი ს ი

სიცილით, კისკისით
მოვიდა მაისი.
რამდენი იები...
რამდენი სოსანი....
ქუჩებში დასცურავს
წკრიალა ხალისი,
ბალები აივსო
ვერცხლისფერ შროშანით.

ფანჯრებში იჭრება
ნიავი სრიალით,
ჩაუქრის მერხებზე
თავდახრილ პატარებს
და ფრთების საამო
ფარფატით, შრიალით
გადაშლილ წიგნებზე
დახტის და ტორტმანებს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვლადიმერ მაიაკოვსკი

ამხანაგო ჩიტო, გელოდები ლხენით, გვითხარ, რაზომ არ ხარ გუნებაზე ფრენის?

Ყოველ კუთხიდან
ისმის ხმაური,
ყოველ კუთხიდან
ისმის ხმაური:
გათბა მიდამო,
ამწვანდა ველი.
გაზაფხულია, ჩადგა ზღვაური,
'ძოშიებს ველით!
ხარობენ ველად
მწყაზარი იები,
კეთილი სურვილი,
სალამი, შოშიებო!!
პატარა ჭალა კი
ბალია ნამდვილი.

ვ. მაიაკოვსკი

მოდით და მზადა გვაქვს
რჩეული ადგილი.
ხის გრეხილ შტოებზე
ჩვენი სახლის წინა
უკვე მოგიმზადეთ
საუცხოვო ბინა.
თითის ტოლა ჩიტი
ჟღურტულებს მცონარი,
მას ჭამის მადა აქვს
ჯერ გაუგონარი.
ნუ მოგვერიდებით,
ჩიტებო, თუ გშიათ,
საკვები მზადა გვაქვს:
ხორბალი, 'შვრია,
მღილი და ღერღილი,
მწერი, ბუზანკალი,
ქერი და ფეტვი,
თან
ბრინჯის კაკალი.
მთებიდან,
შორეულ ზღვებიდან
დააგვიანდათ
ჩიტებს მოფრენა.
პიონერები ავიდნენ არყზე
და მის კენწეროს
თვით მოეფინენ.
ერთმა დურბინდი
მოირგო ცხვირზე,
ხედავს: არ ჩანან
არსად ჩიტები,
გახედა შორეთს,
ტყიდან მუხნარის
ჩამოჯდა ტოტზე
გულდამშვიდებით.
ჰსურს მიესალმოს
სიტყვით მქუხარით,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძვირფას შოშიებს
დიდ სიხარულით,
ცეკვით, სიმღერით,
დოლის ხმაურით...
ყვირიან,
დოლების ხმა ისმის საამო,
ლამის გადირიონ
ჩიტებზე ფიქრით,
ჩიტებმა
სუსხიან ამინდის გამო
დაიბანაკეს ტყეების იქით...
რაკი არ მოფრინდნენ,—
ჩიტების ბინაში
თვითონ
მოთავსდნენ
ბავშვები ადვილად.

ჩიტნი გამოცხადნეს
პიონერთა წინაშე,
მაგრამ მათ წინდაწინ
წაართვეს ადგილი.

* * *

მინდა გითხრათ ბავშვებს,
თუ თქვენ აღარ მიწყენთ,
ჩიტებს რომ უმზადებდით
პინას და საკვებს:
ამხანაგო,
ჩიტის გამო
არ დაგავიწყდეს
პიონერული
სიტყვა და საქმე.

თარგმნა **გრ. აროსიამ**

ᲘᲝᲡᲔᲑ ᲛᲭᲔᲓᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲛᲐᲘᲡᲘᲡ ᲧᲕᲐᲕᲘᲚᲔᲑᲘ

ჩვენ, ყვავილები ლამაზი
მთისა, ველის და მინდვრისა,
გაზაფხულისა პირზე ვართ
ნაზი ლიმილი მიწისა.

იასამანი, ზამბახი,
ყაყაჩო შავი-გულითა,
შროშანა ნაზად მფრინავი,
ლანძილი მწვავე სუნითა,

ქინძი მწვანილობს ჯეჯილში,
შელგა დგა ყვითელ თავითა—
ვინ ჩამოთვალოს, მთა-ველი
რამდენს ამოზრდის უბითა?!

მკაცრმა ზამთარმა ჩაგვსახა,
გვშობა თოვლისა დნობამა,
ზე წამოგვიღო მიწიდან
მზისა სიახლემ, თბომა.

სხეულად სილამაზე გვაქვს,
სურნელებანი სულადა,
ორივე მიგვირთმევია
ჩვენი დროისთვის სრულადა!

რომელი რომელს ვჯობივართ
ვინ იტყვის ამას ენითა?
ყველა ერთგვარად აღავსებს
მაყურებლის თვალს ლხენითა.

გაჰკურნავს ჩვენი დანახვა
მკაცრი ზამთრისა სენითა,
სამართლიანად ამაყობს
მაისის დილა ჩვენითა.

თავის კაწაწა ხელებით
ნიკო, კაკო და ნაისი
ჩვენგან შეკონილ თაიგულს
შინ მოიტანენ ხალისით.

ღ. უსპენსკი

ეროვნული ბიბლიოთეკა



Ყირიმში, კოკტებელში, მკითხეს: ხომ არ გნებავთ პლანერით იფრინოთო? ცხადია, მე ვუთხარი მინდა მეთქი.

ცხელი დღე იყო.

მთის კალთაზე იდო თეთრ-წითელი პლანერი. მის მახლობლად გროვად ეყარა თბილი ტანისამოსი — ტყავის ქურთუკები, შარვლები, მუზარადები.

მზემოკიდებული მფრინავი მტრედისფერი ტრუსებით იჯდა ქვაზე და რძეს სვამდა.

— გამარჯობათ! — მითხრა მან. — ჩქარა ჩაიცვით, დროა!

მე გაოცებული ავტორტმანდი. ისეთი სიცხეა, რომ თვითონ მხოლოდ ტრუსები აცვია, მე კი რაღაც ქურქებში უნდა გამომხარშოს!

— ჩაიცვით, ჩაიცვით! — დაიყვირა ყველამ — მაღლა უნდა აფრინდეთ, ორიათას მეტრზე. იქ ცივა. გაიყინებით! ჩაიცვით!

რაღას ვიზამდი, ჩავიცვი. მფრინავმაც ჩაიცვა. ტყავის ტანისამოსმა ისე გამამსხვილა, რომ ძლივსძლივობით ჩამტენეს უკანა სამგზავრო კაბინაში.

მერე ყოველივე ის მოხდა, რაც პლანერით გაფრენის დროს ხდება ხოლმე. პლანერის ცხვირზე გაკეთებულ კილოს მოსდეს რეზინის გრძელი ბაგირი. ქარის საწინააღმდეგო მიმართულებით მოატრიალეს, და რვა კაცმა დაიწყო ბაგირის ისე გაჭიმვა, თითქოს სათამაშო ორკაპი ყოფილიყო, რითაც ქვებს ისვრიან. ბაგირი თანდათან უფროდაუფრო დაიჭიმა. პლანერი ხანდახან თრთოდა, მავთულები ზრიალებდა. დაბოლოს მორიგემ დაიყვირა:

— სტარტი!

გაიჩხაკუნა კილომ, რომელიც ამაგრებდა მანქანის ბოლოს მიწაზე, და ორკაპი გავარდა, მაგრამ ქვის მაგიერ მთელი პლანერი გამოფრინდა, რომელშიაც მე და მფრინავი ვისხედით.

პლანერით ფრენა გაცილებით უფრო სასიამოვნოა, ვიდრე თვითმფრინავით: თვითმფრინავზე მოტორის ხმაურობა და გრიალია, აქ კი სრული სიწყნარეა, მხოლოდ ჰაერი ზუზუნებს ფრთებზე, ხან მძლავრად, ხან უფრო წყნარად.

იცქირები დაბლა. ხალხი თითქმის არა ჩანს, მაგრამ ყველაფერი მშვენივრად ისმის, რასაც ლაპარაკობენ.

— ივან ნიკოლაევიჩ! აქ მოდი, სადილი მოიტანეს, — თითქოს შიგ ყურში ჩაგძახესო.

იცქირები, იცქირები, ივან ნიკოლაევიჩის მონახვა კი შეუძლებელია: იქ რაღაც მწერები დაფოფავენ.

ნელა, დიდი წრეებით მიჰყავდა ჩემ მფრინავს პლანერი მაღლა. მანქანა ისეთ მაღლა-მაღლა ადის, ჩვენ კი ვლაპარაკობთ. როდესაც მოგვბეზრდა ლაპარაკი, მღერა დავიწყეთ. მღერაც მოგვბეზრდა და მფრინავმა მითხრა:

— ყურძენი არ გნებავთ?

შეტრიალდა და მხარზევით გადმომაწოდა ტკბილი შავი ყურძნის დიდი მტევანი. დავიწყეთ ყურძნის ჭამა. მფრინავმა თქვა:

— საოცარია. შეხედეთ: ქიმს იქით გადავაფურთხებ მარცვალს და ვინ იცის სად წაიღებს იმას ქარი. მიწაში ჩავარდება სადმე ჭურჭუტანაში და ვაზი ამოვა. ვერავინაც ვერ გაიგებს, თუ ეს ვაზი პლანერით დაფრინავდა! ხომ გრძნობთ, უკვე აცივდა,

როგორც კი თქვა მან ეს, მე ვიგრძენი არა აცივება, არამედ ის, რომ რაღაც დაძვრებოდა ჩემ ტანისამოსში. დაძვრებოდა, დაძვრებოდა და თან მფხოჭნიდა.

— გესმით, — ვეუბნები მფრინავს, — რაღაც დამიდის ტანისამოსში.

— ტანისამოსში? — მეკითხება მფრინავი. — მერე და როგორია: დიდია, პატარაა თუ საშუალო?

— უფრო საშუალო უნდა იყოს, — ვუპასუხე მე. — ახლა სახელოში შემიძვრა. თბილია, რბილი და ბრჭყალებიანი.

— ჰოო, — თქვა მფრინავმა, — ეგ თაგვი იქნება! ეგ ოხერი პლანერში მოცუნცულდება ხოლმე ტავოტის, ესე იგი მანქანის წასასმელის საჭმელად. მიირთმევს ტავოტს, დაიძინებს პლანერში და გაფრენის დროსაც შიგ ბრძანდება მძინარი. მაღლა კი შესცივდება და ადამიანს შეუძვრება, რომ გათბეს. ახლა სად არის?

— ახლა მარცხენა ფერდთანაა.

— ჩაიყავით ხელი ქურთუკში და დაიჭირეთ. დაიჭირეთ? აბა ამოიყვანეთ!

მე ჩავიყავი ხელი უბეში და მართლაც ამოვათრიე ნამცეცა, სათითურზე ცოტათი უფრო დიდი ბახალა. გავშალე ხელი, ბახალა კი ზის, პაწაწკინტელა, ჩემ დიდ ხელის გულზე და ჩქარ-ჩქარა სუნთქავს. მერე უცებ შედგა უკანა თათებზე და ბეწვის გასწორება დაიწყო მუცელზე.

მფრინავმა ალმაცერად გამოიხედა უკან.

— ზის ეგ ოხერი? — მკითხა მან.

— ზის.

— ფრთაზე გაუშვით. ნეტავ რას იზამს?

მე ფრთაზე გავუშვი ბახალა. მან მიმოიხედა, ბრჭყალებით მაგრად ჩაებღაუჭა ფრთაზე წასმულ საღებავს და ქარის საწინააღმდეგო მიმართულებით მიცუნცულდა ფრთის წინა კიდესთან. ის სვეტივით აიმართა, წინა თათები მკერდზე დაიწყო და გულდასმით დაიწყო ძირს ცქერა.

ძირს ლურჯი, ლურჯი ზღვაა. კოკტებელის პატარა სახლები ჭრელად მოჩანს შორს, ნაპირზე. ბახალა ჩაჯდა, ულვაშებიანი ცხვირი გააცმაცურა, ჩორთით გადაურბინა მფრინავს ზურგს უკან, ქარს მიეფარა და იქ ჩაჯდა პირის დასაბანად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თითქმის მთელი საათი თავს დავსტრიალებდით ზღვას. მფრინავი უსტვენდა თავის კაბინაში. ის წამდაუწუმ მეკითხებოდა უკან მოუხედავად:

— ზის მგზავრი?

— ზის.

— პირს იბანს?

— არა — ახლა ულვაშებს აცმაცურებს..,

— თქვენ მითხარით ხოლმე რას აკეთებს, მე ვერ ვხედავ. შინ უნდა მივიყვანოთ...

მაგრამ ჩვენ ვერ შევძელით კუდიანი მგზავრის შინ მიყვანა. არ ვიცი, მობეზრდა ჯდომა თუ რაიმე საფრთხე მოეჩვენა, ის უცებ დაფაცურდა, სწრაფად მიცუნცულდა ფრთის კიდეზე და იქ სვეტივით აიყალყა. რამდენიმე წამის განმავლობაში ის სულ იჭიმებოდა, მაღლდებოდა და მაღლდებოდა, ხან მარცხნივ გადახრიდა თავს და ხან მარჯვნივ, თითქოს უნდოდა დარწმუნებულიყო, რომ ჩვენს ქვევით ახლა ზღვა კი აღარ იყო, არამედ მაგარი მიწა. მფრინავი ელაპარაკებოდა მას:

— აბა რა გინდა, ქერქეტავ? დაჯექი! რატომ ვერ ისვენებ ერთ ადგილზე? გაისეირნებ და მერე წაბრძანდები შენ ცოლთან! აქ მო, ქურთუკში შემოძვერი...

საქმე არა გაქვს! ბახალა უეცრად კიდევ უფრო მეტად გაიჭიმა, უკანა თათებით მოსწყდა ფრთას და ყირამალა დაეშვა სწრაფად ქვევით, მიწისაკენ.

მფრინავს ხელიც კი შეუტოკდა, პლანერი ცხვირმა დასძლია.

— უყურეთ ამ სულელს! — თქვა მფრინავმა — დაიმტვრევა! არა, რა პარაშუტისტი ეგა მყავს, რომ ხანდაზმულ ნახტომებს აკეთებს!

ამის შემდეგ ჩვენ მალე შემოვბრუნდით უკან, შინისაკენ. მფრინავი აღარ მღეროდა. ის მოღუშული იყო და ხმას არ იღებდა.

როდესაც აეროდრომს მივუახლოვდით, მხოლოდ მაშინ თქვა მან:

— იცით, იქნებ ის მართლაც ისე წავიდა ქვევით, თითქოს პარაშუტი აქვსო, თვითონ რომ მსუბუქია. ბეწვი გრძელი აქვს, ფაფუკი... კუდი... იქნებ არც კი დამტვრეულა.

ორი კვირა გავიდა. მოსკოვში, წითელ მოედანზე, ვილაც მეძახის:

— ეი, ეი! ჰოი!

მოვიხედე! — მფრინავი მორბის ჩემკენ,

— უკაცრავად, — მეუბნება, — თქვენ ჩემთან იფრინეთ, მაგრამ თქვენი გვარი არ ვიცი. ჩვენი ბახალა არ დამტვრეულა!

მე გამიკვირდა.

— რატომ გგონიათ ასე?

— როგორ არა, — მიპასუხა მან: — მე აქ, მოსკოვში, ვნახე ერთი ინჟენერი და შევუჩნდი, რომ გამოეანგარიშა, რას ამბობს მეცნიერება; დაიმტვრევა თაგვი თუ არა, თვითმფრინავიდან რომ გადმოხტეს. მან იანგარიშა — იანგარიშა... თურმე ეს ძალიან ძნელი ყოფილა. მეორე თაგვის დაჭერა მოგვიხდა. რაღაც განსაკუთრებულ სასწორზე აწონეს. ძალიან მოვაბეზრე თავი იმ ინჟენერს, მაგრამ მაინც გავიგე: არა, არ დაიმტვრევა. წყნარად დაეშვება, როგორც პარაშუტისტი. ბეწვი აქვს, კუდი... ინჟენერმა თქვა: თუ ბალახზე დაეცა, თაგვი გადარჩებაო.

— მშვიდობით, მეჩქარება!

ჩამოვართვით ერთმანეთს ხელი და ჩვენ-ჩვენი გზით წავედით.

თარგმანი **შ. თაბუკაშვილისა**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პირველი მაისი

მოდის, მოღელავს დროშების ტყე ტალღად ქცეული
და წითელ ზვირთებს დასასრული არსად არ უჩანს:
დღეს ზეიმობენ მშრომელები ბრწყინვალე მაისს,
სიმშვენიერით, სიხარულით ივსება ქუჩა...
  დღეს ყველა მუშა, ქალი, ბავშვი გარეთ გამოდის,
  მუსიკის ხმაზე პიონერნი მწყობრად მოდიან,
  დროშები ფარავს აზვირთებულ მშრომელთა მასებს
  და მათ გულებში სიხარული მეტად დიდია.
იქ, ლაჟვარდ ცაზე, თვითმფრინავი ვით ძერა დაქრის,
ფოლადის ფრთებზე ხუთი ქიმით ვარსკვლავი ბრწყინავს,
იქიდან ცვივა საზეიმო თეთრი ფურცლები,
და ეს ფურცლები პეპლებივით ჰაერში ფრინავს.
  მზე უხვად აფენს ოქროს სხივებს წითელ ქვეყანას,
  სადაც მშრომელნი ერთ დროშის ქვეშ მწყობრად დადიან,
  ქართველი, რუსი, თურქი, ზანგი... ლხინში ერთობით,
  ბრძოლის ველზედაც თავმოყრილი ერთად გადიან.
ყველა ზეიმობს ამ დიად დღეს - დიდი, პატარა,
ბედნიერ ბავშვის სახეზედაც ღიმილი დაკრთის,
და ყველა ქალი, კაცი, ბავშვი ასე გასძახის:
„მადლობა სტალინს ამ ძვირფასი ცხოვრებისათვის“!

თაბუკაშვილი ლეილა, მე-VII ა. კლ მოწ. (1-ლი საც. სკოლა.)

ნათელამ უთხრა თინას:

— შეძვერი მაგიდის ქვეშ. მე მაგიდას სამჯერ დავარტყამ ხელს, — თუ ვერ გაუძლებ, შენი ფორთოხალი მომეცი, თუ არა და ჩემ ბურთს მოგცემ.

— კარგი, — უთხრა თინამ და მაგიდის ქვეშ შეძვრა.

ნათელამ მაგიდას დაარტყა ხელი ერთხელ, ცოტა ხნის შემდეგ მეორედ, დაჯდა და წიგნის კითხვა დაიწყო. თინა კი ზის მაგიდის ქვეშ, მაგრამ ვაი ასეთ ჯდომას! ძალზე დაიღალა. ეხლა კი მიხვდა თინა ნათელას საიდუმლოებას და გამოვიდა მაგიდის ქვემოდან

— რად გამოხველი? — ჰკითხა ნათელამ.

— თანაც დავიღალე და თანაც მიგიხვდი ოინს, — უპასუხა თინამ.

— როგორ?

— შენ, ალბათ, მესამედ ხვალამდე არ დაჰკრავ.

— მაშ მოიტა ნაძლევი!

სოსო ლომთათიძე.

ფასი 50 კაპ.

37 155
ეროვნული
ბიბლიოთეკა



შეადგინეთ ამ სურათის მიხედვით მოთხრობა და გადმოგზავნეთ რედაქციაში. საუკეთესო მოთხრობა დაიბეჭდება მორიგ ნომერში.